საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/175

ქ. ბათუმი 05 დეკემბერი, 2018 წ

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილის 2018 წლის 04 დეკემბრის MES 4 18 01552184 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ტურიზმის, თურქეთისმცოდნეობის, თურქული ფილოლოგიის და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მობილობის განხორციელებისა და შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები და პირობები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველების მიერ ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით **2018 წლის 04 დეკემბრიდან - 2018 წლის 12 დეკემბრის** 18:00 საათამდე შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. პირადობის მოწმობის/საერთაშორისო პასპორტის ასლი;
2. CV (ინგლისურ ენაზე);
3. ნიშნების ფურცელი (ქართულ ენაზე).

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ - **2018 წლის 13 დეკემბერი.**

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - **2018 წლის 14 დეკემბერი.** გასაუბრება ჩატარდება საკონკურსო კომისიასთან (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ CV-ში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე).

4. დამტკიცდეს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების

სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების თანდართული წესი **(დანართი 1).**

3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) ქეთევან ბერიძე - ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორი (კომისიის მდივანი).

4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, სათათბირო ხმის უფლებით, სტუდენტების გასაუბრების ეტაპზე დაემატოს ამ ფაკულტეტების დეკანები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლები (როსტომ ბერიძე და ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტიდან, მარინე გიორგაძე და ჟუჟუნა გუმბარიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).

5. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე კომისიამ დაადგინოს გასაუბრების განრიგი და მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს გაცვლითი პროგრამის მოთხოვნებიდან.

6. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.

7. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

8. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის

05 დეკემბრის № 01-08/175 ბრძანების

დანართი №1

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

1. წინამდებარე წესი არეგულირებს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ყაზახეთის იურიდიული და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ტურიზმის, თურქეთისმცოდნეობის, თურქული ფილოლოგიის და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (შემდეგში ,,კანდიდატი") შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებსა და პროცედურებს.
2. ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 სტუდენტისათვის მობილობა განხორციელდება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრებში ერთი სემესტრის ხანგრძლივობით. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიმღები უნივერსიტეტი სთავაზობს <u>სტუდენტებს უფასო სწავლას და საერთო საცხოვრებელს.</u>
3. ნახიჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქეთისმცოდნეობის, თურქული ფილოლოგიის და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების 4 სტუდენტისათვის მობილობა განხორციელდება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრებში ერთი სემესტრის ხანგრძლივობით. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიმღები უნივერსიტეტი სთავაზობს <u>სტუდენტებს უფასო სწავლას, მგზავრობას და საერთო საცხოვრებელს.</u>
4. კონკურსი მოიცავს 2 ეტაპს (საერთო შეფასება - 100 ქულა), მათ შორის: 80 ქულა - კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება; 20 ქულა - გასაუბრება.

   I **ეტაპი:** კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება (მაქსიმალური შეფასება - 80 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა	კანდიდატის ქულა
აკადემიური მოსწრება	40 (=აკადემიური მოსწრების 100 ქულას)	
უცხო ენის ცოდნა (ინგლისური B2)	30 (= 100 ქულას)	
CV	10 (0-10)	

II ეტაპი: გასაუბრება (მაქსიმალური 20 ქულა)

შეფასების კომპონენტი	კომპონენტის მაქსიმალური ქულა	კანდიდატის შეფასების ქულა კომპონენტში
დარგობრივი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; პრეზენტაბელურობა; ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა	20	

5. **კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუ არასრულად არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია (არ ერთვის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, CV შედგენილი ინგლისურ ენაზე, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა);

ბ) თუ არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი.

გ) თუ კანდიდატს შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

კონკურსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების (საბუთების გადარჩევის, გასაუბრების განრიგის და გასაუბრების შედეგების) ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შესაბამის ველებში: „კონკურსები“ და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სიახლეების ველში).

6. ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები გაიგზავნება მიმღებ უნივერსიტეტებში არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა.

7. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების საფუძველზე.